სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: დერმატო-ვენეროლოგია
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები :სრული პროფესორი გიორგი გალდავა, ასოც. პროფესორი თინა ქიტუაშვილი

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია დერმატოვენეროლოგიაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შემოქმედებითად მოეკიდებიან და გაანალიზებენ ახალ და უკვე არსებულ ინფორმაციას. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძენილ ახალ ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს დანერგავენ პრაქტიკაში და მიღებულ შედეგებს გაავრცელებენ როგორც პუბლიკაციების, ისე სასწავლო კურსების სახით. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ ქვეყანაში დანერგონ ახალი მიდგომები კანისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

პროგრამის აქტუალობა:

უკანასკნელ წლებში აღინიშნა კანის ინფექციური და პარაზიტული დაავადებების, ზოგიერთი ქრონიკული პათოლოგიის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ მიერ გამოწვეული სხვადასხვა გართულებების რიცხვის ზრდა.

მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობების ფონზე, გარემოსა და შრომის პირობების გაუარესებამ, განვითარების ანომალიების ზრდამ, რაც გამოწვეული უნდა იყოს გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედებით, ამ დაავადებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის შემცირებამ, სამკურნალწამლო საშუალებების ფართოდ და უკონტროლოდ მიღებამ რადიკალური ცვლილებები გამოიწვია ინფექციური პროცესების პათოგენეზში, ინკუბაციური პერიოდების ხანგრძლივობასა და კლინიკურ გამოვლინებებში. ხშირ შემთხვევებში ინფექციური პროცესების უსიმპტომო მიმდინარეობა იწვევს დაავადებების ქრონიკულ ფორმაში გადასვლას, რის შედეგად ხანგრძლივად მიმდინარე ანთებითი პროცესები იწვევენ ლიმფოგენური, ჰემატოგენური და სხვ. გზებით სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების პათოლოგიურ პროცესებში აქტიურ ჩართვას და რიგ მძიმე გართულებას.

სავარაუდო საკვლევი პრობლემები

1.თავის თმიანი მიდამოს მიკოზების ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოში

2.სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (სგგდ) ეპიდემიოლოგიის, პათოგენეზისა და კლინიკური მიმდინარეობის ზეგავლენის განსაზღვრა რეპროდუქტიულ და კოოპულაციურ ფუნქციაზე, ინფერტილობის სხვადასხვა ფორმების განვითარებაზე, სგგდ გამოკვლევისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შემუშავება და მათი დანერგვა.

პროგრამის შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები გამოავლენს კანისა და სგგდ ეპიდემიოლოგიურად საშიშ კერებს. განისაზღვრება მათი გავრცელება სხვადასხვა პოპულაციაში, რის შემდგომაც უფრო აქტიურად და ეფექტურად განხორციელდება პროფილაქტიკური და სან-განმანათლებელი ღონისძიებები, რაც მომავალში უზრუნველყობს ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას. ასევე

შეფასდება კანისა და სგგდ აღრიცხვიანობის, რეგისტრაციის არსებული მდგომარეობა, შემუშავდება რეგისტრაციის მეცნიერულად დასაბუთებული ახალი მეთოდოლოგიები.

მიღებული შედეგები გამოავლენს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს სგგდ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებში. Gგანისაზვრება ხარისხობრივი, ეკონომიკური და სხვა ასპექტები..

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია _ პროგრამის დასრულების შემდეგ მომავალი დოქტორი იქნება მედიცინის დოქტორი, რომელიც სრულად ფლობს დღეისათვის სპეციალობაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, დეტალურად იცნობს კანისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ზოგადბიოლოგიურ და ბიოეთიკურ პრობლემებს და სპეციალიზირებულია რომელიმე კონკრეტულ თემაზე.

ცოდნა _ პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მზადყოფნა. აღნიშნული სადოქტორო პროგრამის დასრულების დოქტორანტი უნდა ფლობდეს:

- სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ხერხებს;
- ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, კანისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებიs და სხვა მასთან დაკავშირებული დისციპლინების თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს;
- კვლევასთან დაკავშირებულ ბიოეთიკის საკითხებს.

კომპეტენციები და უნარ_ჩვევები _ დოქტორანტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს დოქტორანტურის კურსი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, შეძლებენ, თავი გაართვან სამეცნიერო პრაქტიკაში არსებულ და ახლად წარმოქმნილ პრობლემებს, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ სწორი კონცეფციები.

დასაქმების სფეროები:

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის დასრულების და ხარისხის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია დოქტორანტის დასაქმება როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული მიმართულებით შესაბამისი სპეციალობის კათედრებზე/ დეპარტამენტებში, კვლევით ინსტიტუტებში, დისპანსერულ და სტაციონარულ კლინიკებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები:

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; უცხო ენისა და კომპიუტერის საოფისე პროგრამების ცოდნა მომხმარებლის დონეზე.

სასურველია დოქტორის ხარისხის მაძიებელს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში მომხსენებლის სტატუსით და იყოს სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების თანაავტორი. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები გათვალისწინებული იქნება დოქტორანტის კანდიდატის შერჩევისას პროგრამაში ჩასართველად.

სასწავლო კომპონენტი:

დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი ნაწილი 120 კრედიტს.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტი, დერმატო–ვენეროლოგიის დეპარტამენტი, რომლებიც მოიცავენ სპეციალიზებულ კლინიკურ ერთეულებს – პოლიკლინიკურ განყოფილებას, დღისა და ღამის სტაციონარს, ბიოქიმიურ, კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ და ფუნქციურ–დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებს, ულტრასონოგრაფიის კაბინეტს.

კლინიკური შესწავლის მონიტორინგი და სტატისტიკური დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა განხორციელდება ვარიაციული დამუშავების მეთოდით პროგრამა excel–ის პაკეტის გამოყენებით.

აკადემიური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე დეპარტამენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ხუთი დოქტორანტი.